№ 27
(11 279)

9 – 12 აპრილი, 1999 წ.        ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

13 აპრილს „ლელოს" 65 წელი უსრულდება!

ლელო

# ქართული ფეხბურთის საჯარიმო დაფა!

**როგორც „ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ, ჩატარდა სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს 1998-99 წწ. X ჩემპიონატისა და თასის მატჩებში მომხდარი უდისციპლინობის ფაქტები.**

**კომიტეტის დადგენილებით:**

ფეხბურთელები ჯემალ შერმადინი (კასპის „განთიადი"), ლევან მიქაძე (თბილისის „დინამო"), შავლეგ ცხადაძე (ცხინვალის „ცხინვალი") დისკვალიფიცირებულნი არიან თითო თამაშით და დაჯარიმდნენ 50-50 ლარით.

ფეხბურთელები ლაშა გულორდავა (ზუგდიდის „ოდიშ-2") და დავით მეტრეველი (თბილისის „ზოოვეტი") დისკვალიფიცირებულნი არიან ორ-ორი თამაშით და დაჯარიმდნენ 100-100 ლარით.

ფეხბურთელები დაჩი დავლიანიძე (თბილისის „მრეტები") დისკვალიფიცირებულია 6 თამაშით და დაჯარიმდა 300 ლარით.

მარნეულის „ალგეთი" (II ჯგუფის აღმოსავლეთ ქვეჯგუფი) X ჩემპიონატის კალენდარული მატჩების გაცდენებისთვის თამაშებიდან მოიხსნა.

***23 მარტს*** ტყიბულის „მეშახტის" ფეხბურთელებმა გასვლით მატჩში ქუთაისის „რიონთან" (II ჯგუფი — დასავლეთი ქვეჯგუფი) ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯებს, რისთვისაც მირზა ბარბაქაძეს და გულადი კალანდაძეს 12 თვით მიეცათ დისკვალიფიკაცია და დაჯარიმდნენ 1000-1000 ლარით; მამული კოვზირიძის დისკვალიფიკაცია განისაზღვრა 4 თამაშით და დაჯარიმდა 200 ლარით, გიორგი ხელაძე დისკვალიფიცირებულია 2 თამაშით და დაჯარიმდა 100 ლარით. გუნდის მწვრთნელს დავით გვენეტაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. „მეშახტეს" ფეხბურთელების მიერ მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევაში, კლუბის მიმართ გაატარებენ უმკაცრეს ზომებს — ჩემპიონატიდან მოხსნის ჩათვლით.

***29 მარტს*** წალენჯიხის „სქურისა" და ბათუმის „კოლეჯის" მატჩის დამთავრების შემდეგ, „სქურის" გულშემატკივრების მიერ სტადიონის ტერიტორიაზე მოწყობილი დებოშისა და მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობისთვის, „სქურს" აეკრძალა საკუთარი სტადიონზე ორი მომდევნო კალენდარული მატჩის ჩატარება.

***29 მარტს*** ოზურგეთის „მერცხალისა" და ხობის „კოლხეთის" მატჩის დროს ადგილობრივ მაყურებელთა ერთი ჯგუფისა და ფეხბურთელთა მიერ მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფისთვის და სტადიონზე არეულობის გამო (მატჩი შეწყდა 30 წუთით და ტრავმირებულმა მთავარმა მსაჯმა ვეღარ შეძლო შეხვედრის დამთავრება), „მერცხალს" აეკრძალა X ჩემპიონატის დარჩენილი მატჩების საკუთარ სტადიონზე ჩატარება. „მერცხალის" ფეხბურთელებს მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფისათვის სხვადასხვა ვადით აეკრძალათ ფეხბურთის თამაში. კობა ლლონტი, გრიგოლ ტუღუში, მამუკა იმნაძე, ზვიად დოლიძე, გელა ჩიგოგიძე, და ვახტანგ მეავანაძე დისკვალიფიცირებულნი არიან 12-12 თვით და დაჯარიმდნენ 1000-1000 ლარით. „მერცხალის" პრეზიდენტს ვახტანგ თოხაძეს, მთავარ მწვრთნელს იური ჩხაიძესა და მწვრთნელს მერაბ ვანიძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. ანალოგიური საქციელის განმეორებისთანავე „მერცხალის" მიმართ მიღებულ იქნება უმკაცრესი ზომები ჩემპიონატიდან მოხსნის ჩათვლით.

**გუშინ...**

**სდასუ — შევარდენი 75-51**
**ვითა — სსუ 92-72**
**თსუ — ასკ 91-65**
**დინამო — მაკაბი 81-57**
**აზოტი — სტუ 100-92**

*ლიდერობს აზოტი, შემდეგ მოდიან — ვითა, სტუ, თსუ, დინამო და სდასუ.*




**დაჯილდოება**

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისა და სპორტულ ჟურნალისტიკაში ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ***დიმიტრი (დემიკო) ლოლაძე*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ***დემიკო ლოლაძეს*** მიანიჭა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

**თემა განსჯისათვის**

# სიმართლე მწარე სათქმელია, მაგრამ მაინც ვთქვათ...

ქვეყნის ბიუჯეტის ირგვლივ ხანგრძლივი აჟიოტაჟი ჩაცხრა თუ არა, ყველა უკვე დამტკიცებული და საგრძნობლად შემცირებული ხარჯების უფრო ეფექტურად გამოყენების გზების ძიებას შეუდგა. ზოგს შტატების შემცირება მოუწევს, ზოგს მთელი სამსახურების გაუქმება, ზოგსაც ტრანსპორტის შენახვისთვის მომჭირნეობა და ა.შ. ჩვენ ჩვენი პრობლემა გვადარდებს. სად შეიძლება დაზოგოს სპორტმა მისთვის გამოყოფილი გასაცოდავებული სუბსიდია? თუ ძველი ვალებიც ამ თანხიდანაა გასასტუმრებელი, თანაც ლარის ინფლაციის გათვალისწინებით, ყველაფერი ნათელია — თავსატეხი აღარაფერია, რადგან ფაქტობრივად სპორტის წლევანდელი ბიუჯეტი ამით იწურება. თუ კიდევ რაიმე სახსრების გაჩენის შესაძლებლობის იმედი რჩება, მაშინ სხვა საქმეა. მაგრამ საიდან? ამაზე არავინ არაფერს ამბობს. არ ამბობს იმიტომ, რომ რეალობაა უმძიმესი და ღრმად ბუნდოვანი. ისევ დინებას უნდა მივყვეთ, სხვა გზა არ არის.

ახლა დღის წესრიგში დგას გაისად ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი არც სპორტის დეპარტამენტს, არც ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტს და ფედერაციებს დღეს არ აქვთ. ხელისუფლებაში და მთელს საზოგადოებრიობაშიც ასეთივე განწყობა უნდა სუფევდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ შეიმჩნევა. არადა, საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს და, პირდაპირ ვთქვათ, მის პოლიტიკურ იმიჯსაც კი.

რასაც ქვემოთ ვიტყვით, ცხოვრების მწარე რეალობის გამოძახილია და თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ, აუნაზღაურებელ ზიანს მოვუტანთ ქართულ სპორტს საერთოდ და ოლიმპიურ მოძრაობას საქართველოში, კერძოდ. წლევანდელი წელიწადი ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიების მოპოვების ძირითადი პერიოდია. 36 კანდიდატი იბრძვის სიდნეის საგზურისთვის სპორტის 13 სახეობაში. აქედან ორმა-ნინო სალუქვაძემ სროლაში და ნანა ნებიერიძემ — წყალში ხტომაში, იგი უკვე მიიღეს. ბუნებრივია, რომ ლიცენზიის განაღდება თვითმიზანი არ არის და ყველაფერი ამით არ მთავრდება სიდნეიში ჩასვლამდე. უფრო საპასუხისმგებლო ეტაპი ლიცენზიის მოპოვების შემდგომ დგება — შეჯიბრებებში მონაწილეობა, საშეჯიბრო პრაქტიკის შეძენა, ფიზიკური, სპეციალური, ფსიქოლოგიური და ა.შ.. მომზადების განმტკიცება. სალიცენზიო და შემდგომი პერიოდი, ცხადია, შედეგს დაფინანსების გარეშე ვერ მოიტანს. აი, ასეთ თვალხილულ ჯადოსნურ წრეშია მოქცეული თანამედროვე ქართული სპორტი.

ნურავინ გვიწყენს, მაგრამ დღეს განსაკუთრებული ზრუნვა, გვმართებს თამაშების კანდიდატებისადმი. ხილული თუ ჯერ კიდევ უცნობ-უხილავი რეზერვების მაქსიმუმი სწორედ სიდნეიში მათ მონაწილეობის უზრუნველყოფას უნდა მოხმარდეს. აქვე დავძენთ, როცა საქმე ეხება ოლიმპიურ თამაშებს, არ შეიძლება საბოლოო შედეგი მხოლოდ მედლით შეფასდეს. ვინც საგზურს მოიპოვებს, მან უკვე მიაღწია დიდ წარმატებას — შეაბიჯა მსოფლიოს რჩეულ სპორტსმენთა კოჰორტაში და აღასრულა კიდეც ოლიმპიური ქარტიის უზენაესობა. რადა თქმა უნდა, ამით იმას არ ვამბობთ, რომ მედალზე არავინ იოცნებოს. და თუ გვინდა ღირსეულად წარვსდგეთ (აქ სპორტსმენთა რაოდენობასაც ვგულისხმობთ) მომავალ ოლიმპიურ თამაშებში, სპორტის სხვა სახეობებს, ოლიმპიურსაც (სადაც არ გვყავს კანდიდატები) და არაოლიმპიურსაც დროებით უნდა მოვუბოდიშოთ. გვესმის, სპორტის დეპარატმენტი სახელმწიფო ორგანოა და მისი ვალია ქვეყანაში სპორტის ყველა სახეობის განვითარებისთვის განურჩევლად იზრუნოს, მაგრამ ეს მოვალეობა სურვილად დარჩება თუ პასუხს არ გავცემთ მთავარ კითხვაზე: თვით სახელმწიფოს უნდა და აქვს ამის წადილი და პასუხისმგებლობა? ხომ ყველა ვხედავთ, რომ არ აქვს. მაშ რატომ მოვიტყუოთ თავი, რატომ მოვიმდუროთ ამდენი ხალხი, რატომ უბიძგებთ აქციებისკენ? ვთქვათ სიმართლე და დავამთავროთ, აკი ბრძნულად თქმულა „გაუჟილს" გატეხილი სჯობსო!".

***მიმომხილველი***


ეფენბერგმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა კიევის „დინამოს" კარში.

იხ. მე-5 გვ.

**მოვლენის კვალდაკვალ**

# ქართული სპორტის პრობლემები თბილისის მერიაში უფრო ესმით, ვიდრე... ზევით

თბილისის მერიას, ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოებისგან განსხვავებით, არ შეუცვლია კეთილი დამოკიდებულება სპორტისადმი და თუ ჩვენში ვინმეს ჯერ კიდევ რჩება ქართული სპორტის გადარჩენის იმედი, ამ რწმენას, ისევ და ისევ დედაქალაქს და მისი თავკაცების ერთგულებას უკავშირებს. ხოლო თუ როგორი პატრიოტები და ერთგულები არიან მერიაში, ამ დღეებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ დადასტურდა, როცა სამბოს ეროვნული ნაკრები, თავისი ინტერესების დაცვას, შიმშილობის აქციის წამოწყებით შეეცადა.

ყველაფერი კი გასული კვირის ხუთშაბათს, სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახურის ტრადიციულ პრესკონფერენციიდან დაიწყო. იმ დღეს ხსენებული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ აუწყა ჟურნალისტებს, რომ რაკი ევროპის ჩემპიონატზე მათი გამგზავრების საკითხი ვერ გვარდებოდა, დაიწყებდნენ შიმშილობას. ასეც მოხდა, ბოლოს სპორტის დეპარტამენტმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ნაკრები, გამოინახა ჩემპიონატზე გასამგზავრებელი თანხა, ნაწილობრივ კი თბილისის მერიამ გაუწოდა გუნდს დახმარების ხელი. — გადაუჭრელი რჩებოდა შეკრების საკითხი ჩემპიონატის წინ. ვისაც სპორტი ესმის, იცის, რომ ეს აუცილებელია. მერიამ გადაწყვიტა ჩაუტაროს გუნდს სრული 14-დღიანი შეკრება ძალისში, სადაც საამისოდ კარგი პირობებია. ყველაფერი უკვე მოგვარებულია — აცნობა „ლელოს" თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ.

დავძენთ, რომ ამ ნაკრებს დედაქალაქის მერია შარშანაც დაეხმარა.

„ლელო" — „გუმათი"

# ვინ გახდება ნაკრებში გუცაევის მემკვიდრე?

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვლადიმერ გუცაევს გადაწყვეტილი აქვს 28 აპრილს, საქართველო-ნორვეგიის მატჩის შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დამთავრდება ეს შეხვედრა, დატოვოს პოსტი. წინასწარ ასეთ განცხადებას გუცაევი იმით ასაბუთებს, რომ სფფ-ს საშუალება მიეცეს დინჯად მოიფიქროს თუ ვინ გაუძღვება ნაკრებს მომავალში. არა გვგონია, რომ ჩვენნაირ ქვეყანაში სამუშაოდ ჩამოსვლაზე, რომელიმე უცხოელი დახარბდეს, საეჭვოა რევაზ ძოძუაშვილის დათანხმებაც, დანარჩენთაგან ისევ ნაკრების უკვე ყოფილ მწვრთნელებს საშა ჩივაძესა და დავით ყიფიანს თუ მოიწვევენ, ანდა, იქნებ, სულაც შეიძლება ისეთი კანდიდატურა წამოტივტივდეს...

# ინგა ჭარხალაშვილი — საქართველოს ჩემპიონი

დამთავრდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში. ასპარეზობაში საერთაშორისო და ეროვნულ ოსტატებთან ერთად ახალგაზრდა მოჭადრაკეების დიდი ჯგუფიც მონაწილეობდა.

შესანიშნავად ითამაშა ქუთაისის სპორტული ლიცეუმის მეათეკლასელმა ინგა ჭარხალაშვილმა. მან ჯერ კიდევ ბოლო ტურის წინ გაინაღდა პირველობა, დასკვნით მეცხრე ტურში უკვე საქართველოს ახალი ჩემპიონის რანგში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად საერთაშორისო ოსტატ სოფიკო ტყეშელაშვილთან და ბრწყინვალე შედეგით – 8 ქულით დაასრულა შეჯიბრება.

6,5-6,5 ქულა მოაგროვეს სოფიო გვეტაძემ და ეროვნულმა ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლების გამო მეორე პრიზი გვეტაძეს მიეკუთვნა.

6-6 ქულით დაასრულეს შეჯიბრება თამარ ბალხამიშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა და ნინო წიტაიშვილმა. 5,5 – 5,5 ქულა აქვთ საერთაშორისო ოსტატებს ინგა ხურცილავას და სოფიკო ტყეშელაშვილს. ეს მათთვის არადამაკმაყოფილებელი შედეგია.

## სამხარეო პირველობები

# ქრივს ქვემო ქართლში ბევრი მოზარდი მიმდევარი ჰყავს



რუსთავის სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზმა სეოკ-ის ქვემო ქართლის სამხარეო ორგანიზაციის ღია პირველობას უმასპინძლა კრივში, რომელშიაც უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდები მონაწილეობდნენ. 3 გუნდი რუსთავმა გამოიყვანა, 3 — გარდაბანმა, ორი — თბილისმა და ერთი თეთრიწყარომ. პირველობა წილად ხვდა რუსთავის პირველ გუნდს, მეორე იყო გარდაბნის, მესამე — თეთრიწყაროს წარმომადგენლები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს. ***უმცროსი ასაკი:*** ლადო დევდარიანი (26 კგ.), ლევან ჩოჩელი (28), ზვიად ჰასანოვი (30), ოლეგ ვართანოვი (32), გურამ გვიმრაძე (34), ილია ჩიქოვანი (44) — ყველა რუსთავიდანაა. ემილ ყურბანოვი (36) — გარდაბანი, ბაკურ გოგოჭური (40) გამარჯვება. ***საშუალო ასაკი:*** კობა გოგიშვილი (46), გიორგი ნადირაძე (60) — ორივე — თბილისი, გიორგი ხარაზიშვილი (46), გიორგი გაჩეჩილაძე (54) — ორივე — რუსთავი, გიორგი ჭინჭარაული (48) — გამარჯვება, შალვა ნონიაძე (42) — თეთრიწყარო, ილგარ მამედოვი (44) — გარდაბანი. ***უფროსი ასაკი:*** ზვიად ხადური (42), კახა ტყებუჩავა (48), დოდიკ რომანი (62), კობა ტყებუჩავა (67), ლონგი ლომსაძე (80) — ყველა — რუსთავი, ხვიჩა ჭინჭარაული (52), მუბარის სადიკოვი — (64) გარდაბანი, ალეკო დათაშვილი (თბილისი).

ბაკურ გოგოჭური საუკეთესო ტექნიკურ მოკრივედ დაასახელეს, რუსთაველ ზვიად გზირიშვილს კი გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის გადაეცა სპეციალური პრიზი.

ამ სპორტული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებაში თავისი წვლილი შეიტანა ქვემო ქართლის სამხარეო ორგანიზაციამ.

# მეოცნებე იუნიორები

ოცნება კაცისთვის, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი, საძრახისი არ არის, მით უმეტეს ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სიმწიფის ზღურბლთან დგანან და ცხოვრებასა თუ ხალიჩაზე თვითდამკვიდრებას ცდილობენ და თუ მათ მხარი არავინ აუბა, მარად მეოცნებებად დარჩებიან. ახლა ჩვენს მოჭიდავეებს, აი, იმათ, ამ დღეებში ფალავანთა კლუბში 20 წლამდე იუნიორთა ქვეყნის პირველობის ფინალში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში რომ იბრძოდნენ და პირველობა მოიპოვეს, ახლა დიდ სარბიელზე დასამკვიდრებლად სწორედ ეს თანადგომა და ხელის შეწყობა ესაჭიროება ოცნების ფრთებშესასხმელად.



ტურნირი იმავდროულად შესარჩევი ხასიათის გახლდათ, რადგან ამ იუნიორებს წლეულს სერიოზული შეჯიბრებები აქვთ, რასაც ევროპისა და მსოფლიოს პირველობები ჰქვია ამ ასაკში. ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებისათვის საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი იბრძოდა, ორი დღის განმავლობაში, როგორც ჭიდაობის მოყვარულებს, ასევე ამ სახეობის სპეციალისტებს სრული წარმოდგენა შეექმნათ თუ რითი წარვსდგებით, თუ ამის საშუალება გვექნება და დაგვაფინანსებენ გასამგზავრებლად, ამ შეჯიბრებებზე. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრა როდი იძლეოდა ოპტიმიზმის საფუძველს, იყო არაფრით გამორჩეული, რომ იტყვიან, წყვილთა მხოლოდ ძიძგილაობა, მაგრამ დასამახსოვრებელი ორთაბრძოლებიც იხილეს მაყურებლებმა. თბილისელ ბადრი ხასაიას (76 კგ) ადვილი შეხვედრა არ ჰქონია, ყველა მათგანში ნამდვილი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მოიპოვა პირველობა, ამავე თვისებებით გამოირჩეოდა აფხაზეთის წარმომადგენელი გიორგი რურუა (85 კგ), გარდაბნელი ივანე ჩუბინიძე და თბილისელი გიორგი ტაბატაძე (50 კგ).

იუნიორებმა პირველი განაცხადი გააკეთეს დიდ სარბიელზე გასასვლელად, ახლა საქმე მათ ხელშეწყობაზეა.

ჯ. უნგიაძე

**კვარცხლბეკი:**

***50 კგ.*** 1. გიორგი ტაბატაძე, 2. ლაშა სალუქვაძე, 3. ალექსანდრე ტაბატაძე (სამივე — თბილისი); ***54 კგ:*** 1. მურად გობაძე (აჭარა), 2. რევაზ ლომაძე (ოზურგ.), 3. ბექა მუავანაძე (ქუთ.); ***58 კგ:*** 1. მიხეილ ზავრაშვილი (რუსთ.), 2. ირაკლი ჭოჭუა (თბ.), 3. დავით ურიდია (რუსთ.); ***63 კგ:*** 1. ივანე ჩუბინიძე (გარდაბანი), 2. თემურ თხილაიშვილი (ოზურგ.), 3. მანუჩარ ვერძაძე (აჭარა); ***69 კგ:*** 1. ალექსანდრე დოხტურიშვილი, 2. ნუგზარ ცალუღელაშვილი (ორივე — გარდ.), 3. შალვა გადაბაძე (თბ.); ***76 კგ:*** 1. ბადრი ხასაია (თბ.), 2. მიხეილ ცეცხლაძე (ოზურგ.), 3. პეტრე მეტრეველი (თბ.); ***85 კგ:*** 1. გიორგი რურუა (აფხაზეთი), 2. ზურაბ ბაქრაძე (თბ.), 3. ბიძინა გობრონიძე (ოზურგ.); ***97 კგ:*** 1. ილია ლეჟავა (თბ.), 2. რამაზ დევაძე (აჭარა), 3. რამაზ ნოზაძე (თბ.); ***130 კგ:*** 1. გიორგი წურწუმია, 2. ლევან კახნიაშვილი (ორივე — თბ.)

# ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნას

შარშან 50 წელი შეუსრულდებოდა. დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სპორტკომიტეტში, სპორტსაზოგადოებების „სპარტაკისა" და „შევარდენის" რესპუბლიკურ საბჭოებში, სპორტკლუბ „სინათლეში". შეიძლება მას უფრო მაღალ თანამდებობებზე ემუშავა, მაგრამ ისე ვერ გაეცნოთ, როგორც დღეს იცნობს მთელი საქართველო.



9 აპრილს ნოდარმა გმირობა ჩაიდინა. იგი კი არ გაქცეულა, გოგო-ბიჭები და ქალები გამოჰყავდა უთანასწორო ბრძოლის ველიდან. იგი ვერ იტანდა, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ჩაგრავდა. თუნდაც უცხოები ყოფილიყვნენ, ჩაერეოდა, უთუოდ გააშველებდა. ხშირად დავდიოდით ტურისტულ ლაშქრობებში, კაი დედმამიშვილი იყო, ვინმეს თუნდაც პატარა ხე მოეჭრა, თავზე რისხვასავით დაატყდებოდა. შეეძლო გული ამოეღო და მიეცა გაჭირვებულისთვის. ფიზიკურად იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ ავბედით ღამეს სანამ არ მოწამლეს ჯალათებმა, ვერაფერი მოუხერხეს. ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული, მისი მონდომებით სამხედრო ნაწილის კუთვნილი მუხიანის სტადიონი უბნის მცხოვრებთა სამსახურში ჩადგა, მეტრო სადგურ „ელექტროდეპოსთან" ხიდი აშენდა, რომელმაც ნაძალადევის რაიონი დიდუბის რაიონს დაუკავშირა. „დინამოს" სტადიონზე „ერთგულების ლატარია" მისი ინიციატივით თამაშდებოდა. მის პატრიოტიზმზე მეტყველებს, საქველმოქმედო რესპუბლიკური ფონდის შექმნა ინვალიდ სპორტსმენთათვის. კიდევ მრავალი საქმის ინიციატორი იყო. თანამშრომლობდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ნოდარის დედას ტკივილს მისი შვილიშვილები ნოდარი და მაია უნელებს. იგი ამბობს: „სამშობლოსათვის მრავალი ადამიანი დაიღუპა, მათ რიცხვშია ჩემი შვილი. მართალია, ჩემს გაუნელებელ ტკივილს ვერაფერი უშველის, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ ნოდარის დედა ვარ" — ამბობს ქალბატონი ემა.

გურამ არძიელიძე

## სიდნეი-2000 • ჩვენი კანდიდატები




# ალექსანდრე თვაური მსოფლიოში ერთ-ერთია, რომელიც რგოლებზე ყველაზე ურთულეს ვარჯიშებს ნატიფი ოსტატობით ასრულებს



*დაიბადა 1977 წლის 13 ივნისს, თბილისში, ზოდიაქო — კირჩხიბი. **თსუ-ს** იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. **6 წლის** ასაკიდან დაიწყო მეცადინეობა ცურვაში, ერთი წლის შემდეგ გადავიდა ტანვარჯიშში მწვრთნელ ტარიელ მუჩიაშვილთან. **ამჟამად** ამზადებს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი როინ პასიკაშვილი.*

***სპორტსაზოგადოება** „შევარდენის" წევრია. **საქართველოს** მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის და მსოფლიო უნივერსიადის მონაწილე. **სეოკ-ის** სტიპენდიანტია. **საქართველოს** ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი. ამჟამად ემზადება სიდნეიში ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად.*

● *ალეკო, როდის დაიწყება სალიცენზიო შეჯიბრებები და რომელ ასპარეზობაში შეიძლება სიდნეის საგზურის მოპოვება?*

— სპორტის ზოგიერთი სახეობისგან განსხვავებით, ჩვენ, ტანმოვარჯიშეებს მხოლოდ ერთი შანსი გვეძლევა, მხოლოდ ერთ ასპარეზობაში, ამ შემთხვევაში მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში უნდა მოხვდე დაახლოებით 90 სპორტსმენს შორის. ჩემპიონატს ჩინეთი უმასპინძლებს ოქტომბერში.

● *მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა რეიტინგით ხომ არ არის?*

— არა, მთავარია ასრულებდე საერთაშორისო სტანდარტების, პროგრამის მოთხოვნებს, მაგრამ რაც უფრო აჭარბებ ოსტატობით პროგრამას, მით უკეთესი. პროგრამის მინიმუმით მონაწილის სტატუსს ვერ გასცდები.

ლიცენზიისათვის პირველ და 90-ე ადგილს არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მერეა მთავარი, თამაშებში რა სირთულის პროგრამით წარსდგები და როგორ შეასრულებ.

● *თქვენი პროგრამა როგორია?*

საუბარში ერევა მწვრთნელი: ალეკო ყველა იარაღზე ურთულეს ილეთებს ფლობს და საერთაშორისო სტანდარტებს არ ჩამორჩება, პირიქით, აჭარბებს კიდეც.

● *გამოდის, რომ ოლიმპიურ თამაშებში შეიძლება მედალზეც იფიქროთ?*

მწვრთნელი: რატომაც არა. ალეკო ისეთი ძლიერია რგოლებზე ვარჯიშში, რომ თამამად შეუძლია იფიქროს საპრიზო ადგილზე. მსოფლიო ჩემპიონატი შესაძლებლობას მოგვცემს ტანვარჯიშის სამყარომ გაიცნოს ჩვენი ტანმოვარჯიშე, ასე ვთქვათ, ეს ჩემპიონატი სახელისათვისაც იქნება მნიშვნელოვანი. თუმცა, თუ სახსრები გამოინახა, მანამდე შეიძლება მსოფლიო უნივერსიადაზე გაგვიცნონ ესპანეთში.



აუცილებლად ვთვლით აგრეთვე მონაწილეობა მივიღოთ თურქეთის საერთაშორისო ტურნირში.

● *ალეკო, როგორც ჩანს, რგოლებზე გრძნობთ თავს ყველაზე ლაღად, სხვა იარაღებზე და მრავალჭიდში რა შანსი გაქვთ?*

— მედალს ვგეგმავთო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მრავალჭიდში 200 მონაწილიდან რჩეულთა მესამედში მოხვედრა არ გაძნელდება.

● *ლიცენზიას ცალკე იარაღები არ იძლევა?*

— არა, მხოლოდ მრავალჭიდი.

● *თქვენს გარდა, კიდევ ილია გიორგაძეა კანდიდატთა სიაში, ერთად ვარჯიშობთ?*

— დიახ, ერთ დარბაზში ვვარჯიშობთ, სხვადასხვა მწვრთნელთან. ოღონდ ეგაა, ილია თავს ძალას ვერ ატანს — ჯერ ისევ რკინა აქვს მუხლში და განმეორებით საოპერაციოა.

● *ამას წინათ, რუსუდან ხოფერიამ გვითხრა, რომ გერმანიაში საწვრთნელ ბაზაზე შეგხვედრიათ...*

— დიახ, 10 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით გერმანიის ტანვარჯიშულ სახეობათა ცენტრში გავიარეთ შეკრება.

● *ილიაც იყო?*

— არა, ილიას, როგორც გითხარით, ჯერ ტრავმა აქვს საბოლოოდ მოსაშუშებული.

● *ვინ დაადინანსა თქვენი ხარჯები?*

— სპორტის დეპარტამენტმა მოგვცა მგზავრობის თანხა, დანარჩენზე გერმანულმა მხარემ იზრუნა. მას შემდეგ, რაც ბატუტისტი ანა დოლონაძე გერმანიაში გათხოვდა და ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, იქაურმა ფედერაციამ ასეთი დახმარება გაგვიწია.

● *ჩვენს პირობებთან შედარებით, იქ ალბათ სამოთხეში აღმოჩნდით...*

როინ პასიკაშვილი: იქ ნამდვილად სამოთხეა, ბაზა „აინტრახტის" სტადიონის ახლოსაა, ტყეში. ასეთ ბაზაზე სრული დატვირთვით და ხალისით რომ არ ივარჯიშო, შეუძლებელია, იარაღებიც საუცხოო აქვთ.

● *ალეკო, თავისუფალ დროს რით ერთობით?*

— ყოველდღიური ორჯერადი ვარჯიშის შემდეგ, შვებას მუსიკაში ვგრძნობ, ახალ კინოფილმებს და ფეხბურთს ტელევიზორში ვუყურებ.

● *საცოლე თუ გყავთ?*

— მყავდა.

● *კარგით, ნუ დავაკონკრეტებთ, მაგრამ გული ხომ არ გაიტეხეთ...*

— არა, ჯერ ყველაფერი წინაა.

● *მთავარი ჯერ მაინც ოლიმპიური მედალია, არა?*

— ძალიან მინდა, რომ ასე იყოს...

ესაუბრა ც. ბაქრაძე

## ? შეკითხვა „ლელოს"

*შეკითხვა:* ***ადრე შეხსენებაც არავის სჭირდებოდა და წესად იყო დანერგილი — ნებისმიერი საფეხბურთო მატჩის ჩატარების თაობაზე ყველგან შეხვდებოდით შესაბამის აფიშებს. ამჟამად ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული თამაშების მაუწყებელ აფიშებსაც კი იშვიათად თუ მოკრავს თვალს სადმე გულშემატკივარი. ნუთუ არ შეიძლება მასპინძელი კლუბი დაავალდებულონ, რათა დაამზადონ და გამოაკრან აფიშები?***

***მამუკა ორთოიძე (თერჯოლა)***

*პასუხი:* თქვენი შეკითხვა სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტში გავაცანით. იქ გვიჩვენეს სფფ-ს პრეზიდენტის მ. ჟორდანიას მიერ ხელმოწერილი დადგენილება (№3, 5.II.99 წ.), რომლის მე-8 მუხლში ვკითხულობთ: „საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე მასპინძელი მხარე ვალდებულია დაამზადოს და ქალაქში თვალსაჩინო ადგილზე განათავსოს მინიმუმ 10 ცალი მატჩის აფიშა". როგორც ხედავთ, დადგენილება არის. ახლა მთავარია, კონტროლი მის შესრულებაზე.

**18 აპრილს, პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო" თბილისში ატარებს მძლეოსნურ კროსს**

საქართველოს თასი



პირველი ნახევარფინალური შეხვედრები

# აფციაური ფეხბურთში „ლოკომოტივით" ბრუნდება

**«ლოკომოტივი» (თბილისი) — «სამგურალი» (წყალტუბო) 0–0.**

*„ლოკომოტივი":* ჯანელიძე, ბალაშვილი, დ. მუჯირი, ბარნოვი, არჩვაძე, ვ. კილასონია, კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, წიწივაძე, გოგობერიშვილი, ლუდუშაური (გოდერძიშვილი, 46).

*„სამგურალი":* ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია (დარსაძე, 90), გიორგობიანი, ჯავახაძე (სუხიაშვილი, 70), შენგელია (ქუთათელაძე, 89).

*გააფრთხილეს:* არჩვაძე, გოგობერიშვილი, ჯავახაძე, ასლანაძე, სუხიაშვილი.

*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

...ესეც შენი სათასო სიურპრიზი — აბა, სხვანაირად რა შეიძლება კაცმა დაარქვას ამ შედეგს. რაღა თქმა უნდა, გულშემატკივრებიც და თავად მასპინძლებიც „სამგურალთან" იოლ გამარჯვებას ელოდნენ — ამ წყვილიდან ფინალისტის ვინაობას უკვე პირველივე მატჩი გაარკვევსო. მაგრამ, როგორც შედეგიდან ჩანს, მწარედ მოტყუვდნენ და ახლა ყველაფერს 20 აპრილს, წყალტუბოში მოეფინება ნათელი. რაც შეეხება პირველ ნახევარფინალურ შეხვედრას, მასპინძლებს, ეტყობა ცოტა მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ მეტოქის შესაძლებლობებზე. აბა, როგორ უნდა ავხსნათ მათი ინერტული მოქმედება პირველ ტაიმში, როდესაც ორიოდ ??რი სახიფათო მომენტი შექმნეს დავით ასლანაძეს კართან (ერთ შემთხვევაში ალეკო გოგობერიშვილის დარტყმა ძელმა მოიგერია, მეორეში კი დავით მუჯირს ოდნავ გაუცუდდა მიზანი). სხვა დანარჩენ შემთხვევაში „ლოკომოტივის" ერთფეროვან და, ცოტა არ იყოს, არაორგანიზებულ შეტევებს სტუმართა მცველების უშეცდომო და თავგანწირული თამაში უპირისპირდებოდა (იმ დღეს მიხეილ მახვილაძემ და სანდრო ბურნაძემ დაცვის ცენტრში „გაუვალი კედელი" შექმნეს). სანაცვლოდ, „სამგურალს" პირველ 45 წუთში ერთხელაც არ მოუსინჯია დავით ჯანელიძის რეაქცია, ანდა, როგორ მოახერხებდა, როცა მათი ერთადერთი ფორვარდი გიორგი შენგელია ერთდროულად სამი მასპინძლის „მზრუნველობის საგანი" გახლდათ.

...მეორე ტაიმის დასაწყისი ისეთი იყო, გვეგონებოდათ, ეს არის და „სამგურალის" დაცვა „გატყდება" და მის კარში გოლების „წვიმასაც" ვიხილავთო — „ლოკომოტივმა" დაახლოებით 10-წუთიანი მონაკვეთი ისე ჩაატარა, ბურთი მეტოქის საჯარიმოს არ მოსცილებია. მაგრამ, ხეირიანი ვერაფერი გააკეთეს ერთი მომენტის (თან, როგორ!) გარდა — ჯერ ჰამლეტ წიწივაძის დარტყმული ბურთი კარის ბადის ნაცვლად ძელმა „მიიღო", ხოლო დამატებაზე მისულმა დავით გოდერძიშვილმა როგორ ააცილა მეკარისაგან დაუცველ ცარიელ კარს ორიოდ მეტრიდან, ძნელი სათქმელია. აი, ეს იყო და ეს — მასპინძელთა გუნდში უდავოდ საუკეთესონის, ვარლამ კილასონიასა და დავით მუჯირის აქტიურობის მიუხედავად, „ლოკომოტივმა" ზედიზედ მე-5 (!) სათასო შეხვედრა უგოლოდ დაამთავრა. ეგ კი არა, კინაღამ მართლაც „მყვირალა" სენსაციის მოწმე შევიქენით — როცა სტუმრებმა ზედიზედ ორჯერ მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს და ორჯერვე — ირაკლი გიორგობიანსაც და გიორგი შენგელიასაც ოდნავ სიზუსტე რომ გამოეჩინათ, აი, მაშინ ნახავდით...

საბოლოო შედეგი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრისთვის მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა; ოღონდ გულახდილად რომ ვთქვათ, არც სტუმრები იმსახურებდნენ დამარცხებას და, მით უმეტეს, არც მასპინძლები — გამარჯვებას. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ამ გუნდების განმეორებით შეხვედრას დაველოდოთ და თუ, სიტყვაზე, „ლოკომოტივმა" კვლავ პენალტების სერიამდე მიიყვანა საქმე და ისე გაიმარჯვა, ეს უკვე ყველა არსებული თუ არარსებული რეკორდის დამხობის მომასწავებელი იქნება. დაბოლოს, ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ. საუბარია „სამგურალის" საყრდენ ნახევარმცველ მამუკა აფციაურზე, რომელიც უდავოდ, საუკეთესო იყო ორივე გუნდის მოთამაშეთა შორის. არა, 30 წლის ამ გამოცდილი ფეხბურთელის ჩვეული გარჯა კი არ გაგვკვირვებია, არამედ ის ფაქტი, რომ აფციაურს, ფაქტიურად, 6 (!!!) წელიწადია ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონია.

**ბიძი ტიბანელი**

# ძალიან ძნელია, დღეს საქართველოში იყო ის, რასაც ნაღდი ფეხბურთელობა ჰქვია

**არსენალი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 1–2**

*არსენალი:* ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, აბაზაძე, ზირაქიშვილი, მაისურაძე, ამირიძე (კოხრეიძე, 74), კაკაშვილი, ტარიელაშვილი (78),

*ტორპედო:* ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე (კ. ჯანაშია), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ძ. კვეტენაძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია, ჩხეტიანი.

*გოლები:* ზირაქიშვილი (48), ჩხეტიანი (54, 60).

*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

ბოლო დროს საქართველოს თასის გათამაშების მატჩებს დრამატიზმის ელემენტები დასჩემდა, მაგრამ ამ წყვილს ასეთი რამ უკვე აღარ ემუქრება, ჭეშმარიტი სათასო ბრძოლა ალბათ აღარ შედგება — ძლიერი თავის ღონეს ბოლომდე მოიხმარს და შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეს არანაირ შანსს არ დაუტოვებს. ისიც ძნელად დასაჯერებელია, რომ „არსენალი" დიდი შემართებით და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სურვილით დაუდგება „ტორპედოს" გივი კილაძის სახელობის სტადიონზე. თუმცა, თბილისური შეხვედრის დებიუტში მასპინძლები მობილიზებულად, მიზანდასახულად მოქმედებდნენ. მინდ??ს ცენტრში მუხრან მაისურაძე და ყოლბაია კარგად ბოჭავდნენ ტორპედოელებს, „არსენალის" დაცვაც ერთობ ფხიზლობდა, მაგრამ ერთი ორჯერ დავით ჯანაშიამ მაინც მოახერხა სტუმართა იერიშების გამწვავება, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. რეალური საგოლე მომენტი კი „არსენალს" ჰქონდა — ზირაქიშვილის ჩამოწოდებულ კუთხურს ამირიძე მაღალ ნახტომში შეეგება თავურით და ჭანტურიას თავისი კარის ცხრიანიდან მოუწია ბურთის „გამოძრობა".

მეორე ტაიმის 45 წუთი „არსენალის" შეტევებით დაიწყო და გოლმაც არ დააყოვნა, როცა ზირაქიშვილი „ტორპედოს" საჯარიმოს მისადგომთან დაეუფლა ბურთს, ადვილად გასცდა ერთ-ერთ მეტოქეს და საჯარიმოში შეჭრისთანავე ჭანტურიასაგან მარჯვენა კუთხეში ისე მოათავსა ბურთი, რომ ქუთათურთა მეკარემ ხეირიანი რეაქციაც ვერ შეძლო. გატანილი გოლის შემდეგ „არსენალი" ეიფორიამ მოიცვა, გუნდმა ვერ გამოავლინა სიდინჯე, „თამაშის კითხვის" უნარი, მოიშალა სათამაშო დისციპლინა და „ტორპედომაც" ეს მშვენივრად გამოიყენა. როცა „არსენალის" მარცხენა ფლანგი მოშიშვლდა (შეტევაში ჩართული ამირიძე უკან დროზე ვერ დაბრუნდა და იგი ვერც თანაგუნდელებმა დააზღვიეს) ინიციატივა ტორპედოელთა მარჯვენა ფლანგზე გამწესებულმა ახვლედიანმა აიღო თავის თავზე, რამდენიმე მეტოქე სწრაფად ჩამოიტოვა და ბურთი „არსენალის" კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც ყველას ჩხეტიანმა დაასწრო და დაახლოებით 11-მეტრიანის ნიშნულიდან ჩლაიძეს კარის ცხრიანში მიუჩინა ბურთს ადგილი. საპასუხო გოლი გარდამტეხი აღმოჩნდა, „არსენალი" თითქოსდა მოეშვა, ხოლო სტუმრები ათამაშდნენ, რომელთა სწრაფი შეტევები დაბნეულობას იწვევდა „არსენალში". ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს კვლავ ახვლედიანმა გაილაღა მარჯვენა ფრთაზე და კვლავ კახა ჩხეტიანს მიართვა უზუსტესი პასი — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა კი ამჯერად მარცხენა მახვილი კუთხურიდან, ახლო ძელთან დარტყმით გააწბილა ჩლაიძე.

„არსენალმა" ამის შემდეგაც ფხა ვეღარ გამოიჩინა, გუნდში არ აღმოჩნდა ლიდერი, რომელიც თამაშის შემობრუნებას შეეცდებოდა — „ტორპედოს" უკეთესი შემსრულებლები ჰყავს და უკეთესი პირობებიც გააჩნია. ძალიან ძნელია ცარიელი ენთუზიაზმით თამაში, ძნელია მთელი 90 წუთი ბოლომდე იბრძოლო, როცა რამდენიმე თვეა, ნაოფლარში გასამრჯელოს არ გიხდიან. ძნელია, ძალიან ძნელია იყო საქართველოში ის, რასაც ნაღდი ფეხბურთელობა ჰქვია.

**დათო თავართქილაძე**

# ჩუღურეთელთა თაოსნობა მართლაც, რომ მხარდასაჭერი იყო

**მინიფეხბურთი**

ამ ტურნირის ჩატარების იდეა ჩუღურეთის რაიონის მოზარდებისგან წამოვიდა და მხარდაჭერა ჰპოვა, როგორც რაიონის სპორტკომიტეტში (ომარ ჩხაიძე), ისე თბილისის მერიის სპორტის სამმართველოში (ვლადიმერ კანკავა). უბნებისა და ქუჩების მინიფეხბურთის გუნდებმა მთელი ტურნირი სამაგალითოდ ჩაატარეს და უდისციპლინობის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა. ფინალურ შეხვედრებს გუშინ საღამოს უმასპინძლეს 29-ე საშუალო სკოლის სპორტულ სარბიელზე. ფინალში ნინოშვილის ქუჩის და ოქროსუბნის გუნდები დადგნენ პირისპირ. ოქროსუბნელების უპირატესობა, ისევე, როგორც მთელ ტურნირში, აქაც აშკარა იყო და გაიმარჯვეს კიდეც დიდი ანგარიშით 9-3.



მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ფიროსმანელებმა ჩიქობავას ქუჩელებთან პაექრობაში მხოლოდ დამატებითი 11-მეტრიანების სერიაში მიაღწიეს წარმატებას. ძირითადი დრო ფრედ 1-1 დამთავრდა.

საუკეთესო მეკარედ აღიარეს ლევან ჩალაძე, საუკეთესო მოთამაშედ — ზურაბ გახარია, ბომბარდირად — რატი ასათიანი (25 გოლი). სამივე ოქროსუბნელია. ორგანიზატორებს მხარში დაუდგნენ (გარდა ზემოხსენებული სპორტული ორგანიზაციებისა), ფეხბურთის ფედერაცია, ჩუღურეთის გამგეობა და მოქალაქეთა კავშირი.

**გიორგი ბერძენიშვილი,**
ფ/ა და სპორტის აკადემიის IV კურსის სტუდენტი.

**თქვენ რას იტყვით, კოლეგა**

# პლანიჩკასგან მიღებული ნათლობა

**პროფესიას ძირითადად შინაგანი ძახილით ირჩევენ, მაგრამ შემდეგში სავსებით შესაძლებელია ადამიანი სულაც სხვა გზას დაადგეს, ანდა, ძირითად საქმიანობასთან ერთად დაუნათესავდეს იმ სფეროს, რომელიც მასში ჯერ გატაცებად შემოიჭრება და მერე ახალ პროფესიად იქცევა ხოლმე.**

დემიკო ლოლაძე განათლებით და პროფესიით ფილოლოგი და იურისტია, მაგრამ პარალელურად სპორტულმა ჟურნალისტიკამ მოხიბლა და ლამის უმთავრეს საზრუნავადაც ექცა, ყოველ შემთხვევაში, ამ კაცს მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, სწორედ სპორტთან, კერძოდ კი, ფეხბურთთან შემოქმედებითი ურთიერთობით იცნობენ.

● ***დემიკო, ყველაფერს აქვს ათვლის წერტილი, როდის და როგორ გადადგით პირველი ნაბიჯები სპორტულ ჟურნალისტიკაში?***

— თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, როცა ჩეხოსლოვაკიაში სტუდენტთა გაცვლით ჯგუფში მოვხვდი. პირველი ინტერვიუც იქ შედგა, თანაც, იცით ვისთან? — ლეგენდარულ ფეხბურთელთან, მეკარე პლანიჩკასთან, იქვე გავიცანი და ვესაუბრე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა კაპიტანს, უდიდეს ფეხბურთელს მასოპუსტს, პოპულარულ მოთამაშეს ივან მრაზს.

შინ რომ დავბრუნდით, მასალები „ლელოში" მივიტანე. ეს იყო ჩვენი თაობის უსაყვარლესი გაზეთი, რომლის რედაქტორად ასევე უსაყვარლესი და უდიდესი პიროვნება ბატონი მიხეილ კაკაბაძე მუშაობდა. 1966 წლის ამბავს ვიხსენებ. ყველა მასალა დაიბეჭდა.

● ***გამოდის, რომ პირველმა ნათლობამ სტიმული მოგცათ, ბედმა და მოწადინებამ კი, როგორც ვიცით, ბევრ სახელოვან ფეხბურთელს შეგახვედრათ...***

— მერე იყო საუბრები სტრელცოვთან, სიმონიანთან, კრუტიკოვთან, საბოსთან, სხვებთან და სხვებთან, ბევრს დავუმეგობრდი კიდეც და ურთიერთობა დღესაც გვაქვს. ალბათ არ დარჩენილა ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი და სპეციალისტი, რომ არ შევხვედროდი, ფირზეც აღმიბეჭდავს.



ვიტალი დარასელიას და დიუსელდორფის გახსენება

● ***ხომ შეგეძლოთ სპორტის სხვა სახეობისთვისაც მოგეხადათ ხარკი...***

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა — რაგბიზე გეუბნებით. მაგრამ აქვე გეტყვით, ფეხბურთზეც ალბათ ხელს ჩავიქნევდი, „ლელოში", რომ კეთილი, გულთბილი, ადამიანები არ შემხვედროდნენ. არასდროს დავივიწყებ მიხეილ კაკაბაძის, ნოდარ გუგუშვილის, არჩილ გოგელიას, ახლანდელი რედაქტორის გულისხმიერებას და თანადგომას.

● ***ბედნიერად თვლით თავს, რომ ფეხბურთის პროპაგანდას შესწირეთ ათეული წლები?***

— ძალიან ბედნიერი კაცი ვარ, რომ რაღაც მართლა გამიკეთებია. უფეხბურთოდ ცხოვრება არ შემეძლო და ვერც ვერასდროს შევძლებ. საავადმყოფოდანაც გავპარულვარ მატჩზე. როგორ შეიძლება თავს ბედნიერად არ ვგრძნობდე, როცა ლოლობერიძის, იამანიძის, 1964 წლის „დინამოს" თაობის ფეხბურთელთა თამაშების მომსწრე ვარ. სამწუხაროა, რომ ჩვენმა თაობამ ბორის პაიჭაძის ფეხბურთი ვერ იხილა.

● ***ჩამონათვალში დიუსელდორფი ხომ არ გამოგრჩათ...***

— 1981 წლის 13 მაისი ერის ხსოვნაში არასდროს წაიშლება. მე კი ბედის ნებიერად ვთვლი თავს, რომ ვესწრებოდი ამ მატჩს და პირველად ფოტოაპარატმომარჯვებულმა ვცადე ფირზე აღმებეჭდა იმ ისტორიული მატჩის კადრები. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თამაშს საკავშირო გამოცემების ფოტოჟურნალისტიც არ დასწრებია და სამოყვარულო აპარატით გადაღებული ჩემი ფოტოკადრები შემორჩა ისტორიას. არ დაგიმალავთ, ფირი რომ გავამჟღავნე, თვალებს ვერ ვუჯერებდი, საოცარი სიხარული განვიცადე. მაშინ, იმავე 1981 წელს, ერთ თვეში მომზადდა პირველი წიგნი. მერე იყო გამოცემები ვიტალი დარასელიაზე, მურთაზ ხურცილავაზე, შოთა იამანიძეზე, მიხეილ მესხზე, გივი ჩოხელზე, ფოტოალბომი 1985 წელს თბილისში გამართულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირთან და მიხეილ მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით.

● ***ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე და „დინამოზე" არაფერს გეკითხებით, ეროვნულ ნაკრებზე რას იტყოდით?***

— ჩემზე უბედნიერესი კაცი ალბათ ამ ქვეყანაზე არავინ იქნებოდა, ჩვენ ბიჭებს, რომ „ევრო-2000"-ის ეს ?ეტაპი წარმატებით გადაელახათ. ნორვეგიელთა გარდა, მე სერიოზულ ძალას ვერ ვხედავდი, დიდი შანსიც იყო, მაგრამ... იმედით ვცოცხლობთ. ცხადია, როგორც რიგით ქომაგს, გული მტკივა იმაზე, რაც ხდება. მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ აქ ფედერაცია, თუნდაც მწვრთნელები



ძველი მეგობრები — დემიკო ლოლაძე (მარცხნივ) და იოჟეფ საბო

არაფერ შუაშია. ფედერაციაში იყვნენ და დღესაც არიან პროფესიონალები. მთავარია, ქვეყანაში საერთოდ შეიცვალოს დამოკიდებულება ფეხბურთისადმი. თუნდაც ლატვიელთა მაგალითი ავიღოთ.

დააკვირდით, ხალხი აღარ დადის თამაშებზე — ესაა ფეხბურთის დონის უპირველესი საზომი. მაყურებელი ვარსკვლავებს ეტანება, ხოლო ვარსკვლავები, იცით, უფულოდ ვერ იკაშკაშებენ, ფული კი, როგორც იტყვიან, ფაფუ! — ფეხბურთისთვის.

● ***თქვენ დღესაც ხელდამშვენებული გვეწვიეთ რედაქციაში. გამოგიციათ შესანიშნავი ახალი წიგნი „ვიტალი დარასელიას და დიუსელდორფის გახსენება". სიმართლე გითხრათ, გაგვიკვირდა კიდეც, მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდება, როცა წიგნს გადაშლი და, იქვე, მსხვილი ასოებითაა გამოყოფილი სპონსორთა გვარები...***

— კიდევ ერთხელ მოვახსენებ დიდ მადლობას ბატონებს ალექსანდრე კობაიძეს და გოგი ხაზარაძეს, რომელთა ხელშეწყობითაც დაიბეჭდა ეს წიგნი. მადლობა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ რამაზ ხუროძეს, რომელმაც ამჟამადაც დიდი დახმარება გამიწია.

● ***გისურვებთ, მომავალშიც მრავალგზის გაგეხარებინოთ ფეხბურთის გულშემატკივრები...***

— უღრმესი მადლობა!

**ესაუბრა ც. ბაქრაძე**

# ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ᲛᲔᲠᲪᲮᲔᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲮᲐᲖᲙᲐ „ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ" ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ**

ამ დღეებში გადამდგარი ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი, ესპანეთთან წაგებით (0-9) ესოდენ შერცხვენილი ჰერბერტ პროხაზკა უმუშევრად არ დარჩენილა, ახალი სეზონიდან იგი ვენის „აუსტრიას" ჩაუდგება სათავეში.

**ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ?**

მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ორი მატჩი მოიგო, მის გულშემატკივრებს გარკვეული იმედები მიეცათ.

ახლა ფინალში გასვლის პრეტენდენტების შესაძლებლობებს პროცენტულად ასე სახავენ: საფრანგეთი — 40 პროცენტი, უკრაინა — 35, რუსეთი — 25.

**ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝ „ᲠᲔᲐᲚᲨᲘ" ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ**

„ბოკა ხუნიორსის" შესანიშნავი თავდამსხმელი მარტინ პალერმო ახალი სეზონიდან მადრიდის „რეალში" ითამაშებს. ასეთი განცხადება გააკეთა ჟურნალისტებთან შეხვედრაში ვარსკვლავის აგენტმა გუსტავო მასკარდიმ, რომელმაც უკვე შეათანხმა ეს საკითხი „რეალის" პრეზიდენტ ლორენსო სანსთან.

რამდენს გადაიხდის ფეხბურთელში „რეალი", ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის. ის კი ნათელია, რომ თანხა 20 მილიონ დოლარზე მეტი იქნება.

**ᲠᲐᲮᲐᲜ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ**

გამოჩენილმა არგენტინელმა მეკარემ კარლოს როამ, რომელმაც ამას წინათ ეროვნულ ნაკრებში ითამაშა ჰოლანდიელების წინააღმდეგ ესპანურ რადიოსადგურ სერ-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ სეზონის შემდეგ ფეხბურთს თავს დაანებებს. ამას იგი მოსალოდნელი რელიგიური მოტივებით ხსნის — როა მეშვიდე დღის ადვენტისტთა სექტის მიმდევარია და შაბათს მუშაობა აკრძალული აქვს.





**ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲜᲓᲜᲔᲜ**

მადრიდის „რეალს" შორეულ ჩინეთშიც გამოუჩნდნენ გულშემატკივრები, რომლებმაც ფან-კლუბი დააარსეს. ამას წინათ ფან-კლუბის წევრებმა „რეალის" პრეზიდენტ ლორენსო სანსს სპეციალური წერილით მიმართეს, სადაც თხოვენ, 1,5 მილიონი ბოთლი ესპანური ღვინო გაუგზავნონ „რეალის" [illegible] სიმბოლიკით.

**ᲡᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ?**

ამას წინათ ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერისა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას შეხვედრისას არგენტინელმა წამოაყენა ახალი იდეა მსოფლიო ჩემპიონატების სამ წელიწადში ერთხელ მოწყობის შესახებ. გავიხსენოთ, რომ თვით ბლატერის მოსაზრება ამ შეჯიბრების ორ წელიწადში ერთხელ გამართვის შესახებ არ გაიზიარეს.

ბლატერს მოეწონა გრონდონას წინადადება. მან „მეტად საინტერესო" უწოდა და დაჰპირდა, რომ ამ პროექტს „ყოველმხრივ შეისწავლის".

**ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲡ... ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ!**

„ფლამენგოსა" და „ფლუმინენსეს" მატჩამდე (1-1) ორი საათით ადრე „მარაკანასთან" ახლოს მოკლეს გულშემატკივარი.

ეს მატჩი რომარიოსათვის საიუბილეო იყო. მან „ფლამენგოს" შემადგენლობაში 200-ზე მეტი მატჩი ჩაატარა და კეთილშობილურადაც მოიქცა: „ფლამენგოს" თანხა გადასცა მოთამაშეებისათვის დასარიგებლად, რომლებიც ხელფასს ვერ იღებენ.

**„ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ? ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ!"**

როგორც ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგმა განაცხადა, რონალდოს, „[illegible]" დამთავრდა. ლუქსემბურგი იგი მიიწვევს ბრაზილიის ნაკრებში, რომელიც 28 აპრილს „ბარსელონას" შეხვდება.

**ᲘᲣᲠᲒᲔᲜ ᲙᲝᲚᲔᲠᲘ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ**


იურგენ კოლერი

დორტმუნდის „ბორუსიის" ცნობილი მცველი იურგენ კოლერი თავს დაესხა გერმანული ფეხბურთის მესვეურებს. მისი აზრით, მათ არ სურთ გადამწყვეტი ღონისძიებები გაატარონ გერმანული ფეხბურთის პრესტიჟის აღსადგენად.

ჟურნალ „შპიგელისათვის" მიცემულ ინტერვიუში კოლერმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის განთავისუფლება მოითხოვა. „ასე ერთბაშად, რა თქმა უნდა, არაფერი შეიცვლება — თვლის 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონი კოლერი, მაგრამ თუკი კრისტოფ დაუმს, ან, ვთქვათ, ოტმარ ჰიტცფელდს სამ-ოთხ წელს მივცემთ, ისინი შეძლებენ ნამდვილად ძლიერი ნაკრების შექმნას. თუ ეს გვინდა, მაშინ რამდენიმე დამარცხებასაც უნდა შევეგუოთ, ნამდვილი ნაკრების შექმნის პროცესში".

საინტერესოა, რომ მარტო კოლერი არ არის დაბალი აზრის ნაკრების მთავარ მწვრთნელზე. როცა ერიხ რიბეკი ამ თანამდებობაზე დანიშნეს, თითქმის მთელი გერმანული პრესა წინააღმდეგი იყო: რიბეკს ბოლო წლებში მწვრთნელად არსად უმუშავია...

— საჭიროა მოთმინება — განაგრძო კოლერმა — და მაშინ ნამდვილად ძლიერი ნაკრები გვეყოლება. რაც შეეხება ახალგაზრდა პრესტიჟს, იგი მინიმუმამდეა დაცემული. ადრე ხელსაყრელ კონტრაქტებს მოთამაშეები აწერდნენ ხელს, რომლებიც ნაკრებში გამოდიოდნენ. ახლა ტელევიზია თითქმის ყველა მატჩს გადასცემს, მოთამაშეებს ყველა ცნობს, მათ თითოეულ ნაბიჯს თვალყურს ადევნებენ. ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა, რომ ახალგაზრდა გერმანელი მოთამაშეები დიდ კლუბებში გადასვლას ჩქარობენ. ისინი ამისათვის მზად არ არიან და მათი შემოქმედებითი ზრდა შეწყდება.

— ცნობილი გახდა, რომ ნაკრების კანდიდატები, „კაიზერსლაუტერნის" ახალგაზრდა ფეხბურთელი მარკო რაინი და მიხაელ ბალაკი „ბაიერნში" გადასვლას აპირებენ. როცა 22 წლისა ხარ — თქვა კოლერმა — ფულზე არ უნდა იფიქრო. ყველაფერი შენს ზრდას უნდა მოახმარო. ამ მხრივ კი სოლიდური კლუბი ბევრი ვარსკვლავით ვერაფერი შესაფერისი ადგილია.

# ᲘᲒᲘ „ᲝᲗᲮᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲛ" ᲐᲦᲖᲐᲠᲓᲐ

**ფეხბურთში ასე დაკანონდა: თავდამსხმელებში დიდ თანხებს იხდიან, მცველებს კი მაინცდამაინც არ ანებივრებენ. თუმცა არის ზოგიერთი გამონაკლისიც — ჰოლანდიელ იაპ სტამში უზარმაზარი ფული გადაიხადეს, იმდენი, რამდენიც არასდროს ერთ მცველში არ დახარჯულა. თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედი" ისეთი მდიდარია, რომ მისგან არაფერი უნდა გვიკვირდეს...**

იაპ სტამი პატარა ჰოლანდიურ ქალაქ კამპენში გაიზარდა, დურგლის ოჯახში. „ერთბაშად „ოთხი დედა" მყავდა, სამ უფროს დასაც რომ ჩავთვლით".

● *ძალიან გაგათამამეს?*

— საკმაოდ, ვინც კი ჩვენს ოჯახს იცნობს!

კამპენი ამსტერდამიდან 50 კილომეტრით დაშორებული „დიდი სოფელია", 20 ათასი კაცი ცხოვრობს, 30 ეკლესიაა. „ძალზე კულტურული ატმოსფერო იყო — ამბობს სტამი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „დიდი სოფლობა" არა ნწამს.

6 წლის წინათ სტამმა დატოვა სამოყვარულო კლუბი „კამპენი" და პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი „ცვოლესთან". გუნდს მაშინ წვრთნიდა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე თეო დე იონგი, რომელიც სტამზე თავდაპირველად მაღალი აზრისა იყო. „იგი ფიზიკურად მეტად ძლიერი იყო, თამაშსაც მშვენივრად ჭრიდა. რადგან ძალზე დისციპლინიანი ადამიანია, მწვრთნელის ყველა დავალებას ზუსტად ასრულებდა, ამიტომ მალე დაიწია ფეხბურთელების, რომლებმაც მასზე ადრე გაიწყეს პროფესიონალები". „ცვოლეს" შემდეგ სტამი ჯერ „კამბიურში" გამოდიოდა, შემდეგ კი „ვილემ II"-ში. ამ კლუბში მას ამჩნევ [illegible]

ლის — თუ აქამდე განაპირა მცველად თამაშობდა, ახლა დაცვის ცენტრში გადაიყვანეს. აქაც მას თეო დე იონგი წვრთნიდა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა ფეხბურთელის დაწინაურებას: „სტამის ადაპტაცია ახალ ადგილზე ძალიან სწრაფად მოხდა. მას ყურადღება მიაქციეს დიდმა კლუბებმა, პირველ რიგში „ეინდჰოვენმა" გადასვლა შესთავაზა. არავითარი უფლება არ მქონდა მისთვის შემეშალა ხელი, დავთანხმდი" — თქვა იონგმა. ასე სწრაფად დაწინაურდა სტამი. „კამბიურში" სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, მოსამსახურეებთან, მუშებთან ერთად თამაშობდა, „ეინდჰოვენში" კი რონალდოსთან, ვიმ იონკთან, ლუკ ნილისთან, ფილიპ კოკუსთან. „ამ ცვლილებამ მეტისმეტად [illegible]" [illegible]


იაპ სტამი

ათ, რა განუცხადა სტამმა ჟურნალისტებს „ეინდჰოვენიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ: „როცა კონტრაქტს ხელს ვაწერდი, ვცდილობდი არ მეფიქრა, რომ მოვხსენი რეკორდი და მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მცველი გავხდი და, ამასთან, „მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში ყველაზე დიდ ფასად შეძენილი ფეხბურთელი. მაგრამ აქ, ინგლისში, ისეთი ვითარებაა, რომ ამ გოგურ ციფრებს ვერსად გაექცევი. საკმარისია ერთი შეცდომა მოგივიდეს, რომ მაშინვე იწყება მსჯელობა იმის შესახებ, ღირხარ თუ არა

ღირხარ იმ ფასად, რომელიც შენს შესაძენად დაიხარჯა. გულახდილად რომ გითხრათ, მართლა არა ვღელავ. აბსურდულად მეჩვენება, რომ ფეხბურთელში შეიძლება 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ. თითოეული ფეხბურთელისთვის, განსაკუთრებით კი მცველისთვის, რომლის შეცდომა გუნდს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ძალების რწმენას. მაგრამ ამას ხანდახან ძალიან დიდი ფასი აქვს. კიდევ მე „მანჩესტერ იუნაიტედმა" უმართლა, ფული ქარს გაატანა". ძალიან მადლობელი ვარ, რომ ალექს ფერგიუსონმა და ბრაიან კიდმა დამიჯერეს მზარი. მათ მითხრეს: „ეკლესია ვიცნობთ შენს შესაძლებლობებს. იმიტომ, რომ როგორც ჰოლანდიაში თამაშობდი, და ყველაფერი წესრიგში იქნება". როცა სხვები ამბობენ, რომ შენი ხნიამი, ეს ყოველთვის გშველის".

ინგლისში მხოლოდ ახლა აღიქვამენ, თუ როგორ გაამაღლებს სტამმა „მანჩესტერ იუნაიტედი". თუ ვინმე ფიქრობს, რომ სტამი ახალი სტივ ბრიუსი („მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ცენტრალური მცველი და კაპიტანი), იგი ძალიან ცდება. ისეთივე აღნიშნავს სტამის გავლენით უფრო სწრაფი და საკუთარ ძალებში მეტად დარწმუნებულია. ჰოლანდიელის მწვრთნელი „გამოაცება" მეტად ძნელია. ეტყობა შეიძლება ჩვეულებრივ ყურადღებას ხოლო მიდგომის თავისებურება, რა უნდა გააკეთო. ამას სტამი კარგად არის შეჩვეული. „ეროვნული თავისი ბევრი ანგლიური მოძღვრების ხოლო მეტოქეთა თავდამსხმელებმა, ჩვენ კი სიფხიზლე გვმართებს".

რას ამბობს სტამი მთავარი მწვრთნელის შესახებ? „ალექს ფერგიუსონი განსხვავებით მეტისმეტად ემოციურია.

იგი სულ სხვანაირია წინასახვეწილი მსგავსობა, როცა უცვლა ცოტათი მოდუნებულია, სულ სხვა — ოფიციალური მატჩებს, ტაიმებს შორის, შესვენებაზე. თუკი პირველ ტაიმში რამე ისე არ გააკეთე, როგორც საჭიროა, დასჯილობა და ტაბოლ ხსოტუვებს ნუ ელი. თუმცა, პრინციპული ის ვეჭვიბი. ეს ასეც უნდა იყოს. დიკ ადვოკატი („ეინდჰოვენის" და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ახლა „გლაზგო რეინჯერსში" მუშაობს) ასევე აწყობას ტონით, მკვახე, გულახდილად ესაუბრება თავის ფეხბურთელებს".

ეს ასეა, მაგრამ არავინ ამტკიცებს არც ფერგიუსონზე და არც ადვოკატზე. ისინი წარმატებას აღწევენ, ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისის ჩემპიონატის ლიდერია, ადვოკატის „გლაზგო რეინჯერსი" — შოტლანდიის ჩემპიონატის. ფერგიუსონის წლის თავის მთავარ ამოცანად მაინც ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას მიიჩნევს.

— მოხარული ვიყავი, როცა მილანის „ინტერთან" თამაში მოგვიწია. ეს რონალდოსთან ერთად თამაშობდი „ეინდჰოვენში", შემდეგ მის წინააღმდეგ ორჯერ გამოვედი ეროვნული ნაკრების მატჩებში. ვიცი, რომ, იგი ვერაფერი გამოიყვანს. ნუ რონალდო, ისინის არის, დიდი ფეხბურთელის წარმატებას და არა სრულიად უცნობის.

მას შემდეგ, რაც სტამმა შეძლო ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაში, ინგლისელებმა ჩათვალეს, რომ მასში შეუმგვავდა რადგანდ დახარჯული 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

**მოამზადა ᲒᲘᲒᲘ ᲗᲝᲠᲦᲔᲚᲐᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები — მიმოხილვა

## როგორ უნდა ვითამაშოთ ფეხბურთი?

სათაურად გამოტანილი კითხვის პასუხს ახლავე მოგახსენებთ — აი, ისე უნდა ვითამაშოთ ფეხბურთი, სამშაბათისა და ოთხშაბათს ევროპის პრესტიჟული გათამაშებების ნახევარფინალისტებმა რომ აჩვენეს. დავიწყოთ უმთავრესით — ჩემპიონთა ლიგის მატჩებით, მით უმეტეს, რომ ქართველ გულშემატკივრებს კონკრეტული საქომაგო ობიექტი, კიევის დინამოელი კახა კალაძე ჰყავდა. არა, კიევის „დინამოსა" და მისი მართლაც ბრძენი თავკაცის ვალერი ლობანოვსკის სწორად არჩეული ტაქტიკა უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ მაინც ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ უკრაინელთა უპირველესი გუნდი ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდა ტიტულებ-ვარსკვლავებით დახუნძლულ მიუნხენის „ბაიერნს". თუმცა, რომელ წინააღმდეგობაზეა საუბარი — კიეველები ხომ მთელი მატჩის განმავლობაში ორბურთიანი უპირატესობით (2-0, 3-1) იყვნენ წინ და ალბათ, 99 პროცენტითაც დარწმუნებული იყვნენ (ისევე, როგორც ყველა მათი ქომაგი) თავიანთ გამარჯვებაში. ალბათ, დიდ დროს წაართმევს სტატისტიკოსებს იმ თარიღის მოძებნა, როდის გაუშვა ბავარიულმა გუნდმა ერთ თამაშში სამი ბურთი (თანაც, რომელ გუნდზეა საუბარი — მათეუსი და ეფენბერგი, ცანი და შოლი, ბაბელი და იანკერი რომ ბრწყინავენ). მაგრამ სწორედ ის ერთი პროცენტი ვერ გაითვალისწინეს მასპინძლებმა — მათი მოწინააღმდეგე ხომ გერმანული გუნდი იყო, ანუ იმ ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელთათვისაც ფეხბურთი ბოლო წუთამდე გრძელდება და რომლებთანაც წამიერი მოდუნების უფლებაც არა გაქვს. ისე, მთლიანობაში თუ ავიღებთ, ამ უხვგოლიანი და მართლაც შესანიშნავი მატჩის შედეგი, მაინც ლოგიკური იყო და ყოველივე ეს ორი კვირის შემდეგ მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გასამართი განმეორებით შეხვედრას უფრო დამაინტრიგებელს ხდის. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას მეორე არანაკლებ საინტერესო წყვილზეც, სადაც, რატომღაც, უპირატესობას ყველა „მანჩესტერ იუნაიტედს" ანიჭებდა. ჯერ ერთი, ინგლისელები ხომ წლევანდელ სეზონში მშვენიერ თამაშს აჩვენებენ და პრემიერლიგის სატურნირო ცხრილის სათავეშიც მყარად არიან, მაშინ როცა მისი მეტოქე ტურინის „იუვენტუსი" წამყვანი მოთამაშეების გაუთავებელი ტრავმებისა თუ საკადრო ცვლილებების შემდეგ, ერთობ არასტაბილურად ასპარეზობს სერია „A"-ს გათამაშებაში. მაგრამ, იტალიელებმა ზინედინ ზიდანისა და ედგარ დავიდსის მაღალოსტატური თამაშის წყალობით გამორჩეულად გონივრული ტაქტიკა დაუპირისპირეს მასპინძელთა, ერთი შეხედვით, ერთფეროვან შეტევებს და კინალამ გამარჯვებასაც გამოჰკრეს ხელი. სამწუხაროდ (იტალიელთა, რა თქმა უნდა), ფეხბურთში „კინალამ" არ ითვლება სათვალავში და კიევის მატჩისა არ იყოს, საყაიმო ანგარიშის დამაფიქსირებელი გოლი აქაც შეხვედრის ბოლო წუთზე გავიდა!

არანაკლებ საინტერესო იყო უეფას თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრები, რომლის შედეგების შემხედვარე დიდი შანსია, რომ ეს საპატიო პრიზი ერთმანეთში ორმა იტალიურმა კლუბმა გაითამაშოს. ალბათ, ბევრი არ ელოდა, რომ „ბოლონია" ასე გაუძალიანდებოდა საფრანგეთის საუკეთესო კლუბ „მარსელს", მაგრამ იტალიელთა მხცოვანი მწვრთნელის კარლ მაცონეს შეგირდებმა ჩინებულად დაიცვეს თავი და განმეორებით შეხვედრის წინ მშვენიერი განწყობილება აქვთ. აი, „პარმა" კი, რომ იტყვიან, ცალი ფეხით უკვე ფინალშია — „ატლეტიკოს" ვერც რადომირ ანტიჩის მთავარ მწვრთნელად დაბრუნებამ უშველა და ვერც საკუთარი კედლების ფაქტორმა. თუმცა, ძნელია „პარმას" წინააღმდეგ თამაშობდე და მათი ფორვარდების მართლაც მრისხანე დუეტს — ენრიკო კიეზას და ერნან კრესპოს რაიმე მოუხერხო...

### UEFA CUP — უეფას თასი

„მარსელი" — „ბოლონია" 0-0
„ატლეტიკო" — „პარმა" 1-3 (ქუნინიო; კიეზა-2, კრესპო)

### CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა ლიგა

„დინამო" (კიევი) — „ბაიერნი" 3-3 (შევჩენკო-2, კოსოვსკი; ტარნატი. ეფენბერგი, იანკერი)
„მანჩესტერ იუნაიტედი" — „იუვენტუსი" 1-1 (გიგზი; კონტე).

**«ატლეტიკო» — «პარმა» 1-3**

იტალიელთა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა ორი თერთმეტმეტრიანიდან ერთი მოიგერია.





**«ოლიმპიკი» — «ბოლონია» 0-0**

ფრანგმა რობერ პირესმა უკან ჩამოიტოვა დავიდე ფონტოლანა.

## ეროვნული ჩემპიონატები ● თასები

### ინგლისი. XXXII ტური

ნიუკასლი — ტოტენჰემი 1-1 (მასპინძელთაგან გოლი თემურ ქეცბაიამ გაიტანა), ქოვენთრი — საუთჰემპტონი 1-0, ევერტონი — შეფილდ უენდსეი 1-2, მიდლსბრო-უიმბლდონი 3-1, ნოტინგემი — ლივერპული 2-2, ვესტ ჰემი — ჩარლტონი 0-1, არსენალი — ბლეკბერნი 1-0, ლესტერი — ასტონ ვილა 2-2. ლიდერობენ: მანჩესტერი (64), არსენალი (63), ჩელსი (59). ნიუკასლი 42 ქულით მე-10 ადგილზეა.

* * *

● რუსეთის ჩემპიონატი (გადმოტანილი შეხვედრა)
სპარტაკი — კრილია სოვეტოვი 3-0

* * *

● რუსეთის თასი (მეოთხედფინალები)
როტორი (ვოლგოგრადი) — არსენალი (ტულა) 4-1
ცსკა (მოსკოვი) — შინიკი (იაროსლავლი) 1-0
ზენიტი (სანკტ პეტერბურგი) — როსტსელმაში (როსტოვი) 2-0
დინამო (მოსკოვი) — სატურნი (რამენსკოე) 1-0 (დ. დროში)

* * *

● ავსტრიის თასი (მეოთხედფინალები)
ლუშტენაუ — ლინცერი 0-1
ბრაუნაუ — რიდი 0-1
რაპიდი — ზალცბურგი 4-1
გრაცერი — შტურმი 1-2

## ქართველი ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე

ნიგერიაში მიმდინარეობს ახალგაზრდა ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მხოლოდ ყაზახეთი მონაწილეობს. ჩვენი ინტერესი ყაზახეთის ნაკრების მიმართ კი იმით არის გამოწვეული, რომ მათ კარს (თანაც, საიმედოდ) იცავს ჩვენებური დავით ლორია. თუმცა, ვერც ლორიას ჩინებულმა თამაშმა ვერ უშველა ყაზახებს არგენტინასთან და ხორვატებთან მატჩში (0-1, 1-5). ისე, **B** ჯგუფი, საერთო აზრით, უძლიერესია – ხორვატებისა და არგენტინელების გარდა, აქ განის ნაკრებიც გამოდის. სწორედ აფრიკელებმა მოახდინეს პატარა სენსაცია მეორე ტურში, როდესაც წინა ორი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული არგენტინის ნაკრები დაამარცხეს. ამ ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყაზახეთის გარდა, სამივე გუნდს აქვს და ყველაფერს არგენტინისა და ხორვატიის ნაკრებების შეხვედრა მოჰფენს ნათელს. ძალზედ გაურკვეველი სიტუაციაა **A** ჯგუფშიც, სადაც მოულოდნელად ტურნირის მასპინძელმა, ნიგერიის ნაკრებმა პირველ შეხვედრაში ფრედ (1-1) ითამაშა კოსტა-რიკასთან. სამაგიეროდ, მეორე შეხვედრაში ჯავრი იყარა ერთ-ერთ აშკარა ფავორიტ გერმანიის ნაკრებთან (2-0).

თითქმის განაღდებული აქვს მერვედფინალის საგზური შედარებით ყველაზე სუსტი ჯგუფიდან მექსიკის ნაკრებს, რომელმაც ორივე სასტარტო შეხვედრა მოიგო – ირლანდიასთან (1-0) და ავსტრალიასთან (3-1). ისე, როგორც ჭაბუკთა ასპარეზობებს სჩვევია, ნიგერიაშიც მრავალი სენსაციური შედეგი აღინიშნა: ურუგვაი – მალი 1-2, ინგლისი – აშშ 0-1, ესპანეთი – ბრაზილია 2-0...

## ათვლა 1973 წლიდან იწყება

# მსოფლიოს 15 საუკეთესო ჩოგბურთელი



ილიე ნასტასე (რუმინეთი)



ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია)



ჯიმი კონორსი (აშშ)



ბიორნ ბორგი (შვედეთი)



ჯონ მაკინროი (აშშ)



ივან ლენდლი (ჩეხეთი)



მატს ვილანდერი (შვედეთი)



სტეფან ედბერგი (შვედეთი)



ბორის ბეკერი (გერმანია)



ჯიმ კურიე (აშშ)



პიტ სამპრასი (აშშ)



ანდრე აგასი (აშშ)



თომას მუსტერი (ავსტრია)



მარსელო რიოსი (ჩილე)



კარლოს მოია (ესპანეთი)

## „სჯობს გვიან, ვიდრე ძალიან გვიან"

ასე თავისებურად დაასათაურა ფიდეს სამდივნომ ცნობა, რომელიც გამოქვეყნებულ რეიტინგ-ლისტში მის მიერვე დაშვებულ შეცდომებზე იუწყებოდა. ამ შეცდომების გამო იყო, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილს არ ჩაუთვალეს წარმატებით ჩატარებული ტურნირი და ქართველ მოჭადრაკეს საკმაო ქულები დააკლეს, არასწორად მიანიშნეს კრამნიკის, სვიდლერის, კორჩნოის, ტიმანის, ი. სოკოლოვის მაჩვენებლები (ყველას ქულები დააკლეს), აი ანანდსა და ლეკოს, პირიქით, დაუმსახურებლად მოუმატეს. ახლა ფიდემ შესწორებული რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა – ზურაბ აზმაიფარაშვილს დაკლებული ქულები აღუდგინეს და იგი უძლიერესთა მეთვრამეტე ადგილიდან მეთხუთმეტეზე გადავიდა.

გთავაზობთ ამ შესწორებულ „რეიტინგ-ლისტს".

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) – 2812 პუნქტი. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) – 2781. 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) – 2751. 4. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 2726. 5. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) – 2723. 6. მაიკლ ადამსი (ინგლისი) – 2716. 7. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 2714. 8. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) – 2713. 9. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) – 2710. 10. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) – 2700. 11. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) – 2697. 12. პეტერ ლეკო (უნგრეთი) – 2694. 13. ბორის გელფანდი (ისრაელი) – 2691. 14. სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) – 2684. 15. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) – 2681. 16. ევგენი ბარეევი (რუსეთი) – 2679. 17. იუდით პოლგარი (უნგრეთი) – 2677. 18. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) – 2673. 19 იან ტიმანი (ჰოლანდია) – 2670. 20. ვალერი სალოვი (რუსეთი) – 2670 და ა.შ.

ერთი სიტყვით, „სჯობს გვიან, ვიდრე ძალიან გვიან". ახლა შეცდომები გასწორებულია.

# პროფესიული კრივის ამბები

## ჰოლიფილდსაც აქვს პრობლემები ქალებთან

არა, ტაისონის მსგავსი არავითარი ძალადობა მშვენიერთა მიმართ მსოფლიო ჩემპიონს პროფესიონალ მოკრივეთა შორის ვბა-სა და ვბფ-ს ვერსიებით მძიმეწონოსან ევანდერ ჰოლიფილდს არ ჩაუდენია, მაგრამ ცხრა შვილის მამამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სადაც ქალი ფიგურირებს. იგი მეორე ცოლთან – ჯენისთან განქორწინებას ითხოვს. მოკრივე ირწმუნება, რომ მეუღლესთან მისი ურთიერთობა დარღვეულია და არასოდეს აღდგება.

სხვათა შორის, ბევრი მიიჩნევს, რომ ამაში თავად ჰოლიფილდს მიუძღვის ბრალი: იგი ზედმიწევნით „გულმოწყალეა“ ქალების მიმართ. მოკრივის „ანგარიშზე“ ტყუილად როდია 9 შვილი, მათგან ხუთი – ქორწინებაგარეშეა, სხვადასხვა ქალთან.

ევანდერი აცხადებს, რომ მისი გადაწყვეტილება შეუვალია, მხოლოდ რაღაც ფორმალური საკითხებიღა დარჩა განქორწინებისათვის. საოლქო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ვის მიენიჭება ორი წლის ელიაზ ჰოლიფილდის მეურვეობის უფლება, და ჯენისის სარჩენი თანხის დადგენა. სხვათა შორის, პირველ ცოლთან გაყრა მოკრივეს ოთხი მილიონი დოლარი დაუჯდა.

## ტაისონი ჯერჯერობით იჯდება

როგორც ჟურნალისტებს მიაჩნიათ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაიკ ტაისონი ივნისის დამდეგამდე საპატიმროდან ვერ გამოვა.

ტაისონი ციხეს 5 თებერვალს დაუბრუნდა. მას შარშან, აგვისტოში ორ კაცზე თავდასხმისათვის ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

ახლა მოსამართლემ აღნიშნა, რომ „ტაისონს“ ამ ბოლო ხანებში (ყოფაქცევის თვალსაზრისით) გასაოცარი პროგრესი აქვს“, მაგრამ მაინც უარჰყო მისი თხოვნა სასჯელის ვადის 8 თვემდე შემცირების შესახებ.

ვერდიქტის დროს ტაისონი დარბაზში არა ყოფილა, მის მაგივრად სხდომას მისი ცოლი მონიკა და ცოლისძმა მაიკლ სტილი ესწრებოდნენ.

„ჩვენ იმედი გვქონდა, რომ „მოსამართლე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა, სამწუხაროდ ასე არ მოხდა“ – განაცხადა მოკრივის ცოლისძმამ.

## როგორ გაამასხრეს კინგი

ამას წინათ ერთმა ოხუნჯმა საოცრად გაამასხრა კრივის ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი. მან ღამით კინგს დაურეკა, თავი წარუდგინა, როგორც მაიკ ტაისონმა, უთხრა, რომ მონტგომერის მხარის გამასწორებელი დაწესებულებიდან ელაპარაკება (ტაისონი ნამდვილად იქ იმყოფება), ხაზი გაუსვა იმას, რომ „კინგს ყველაფერს აპატიებს“ და სთხოვა შეხვედროდა. გავიხსენოთ, რომ ადრე ტაისონი კინგს მის კუთვნილ 10 მილიონი დოლარის მითვისებას აბრალებდა.

კინგმა ყველა თავისი საქმე მიატოვა, მივიდა ციხეში და გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ მიპატიჟებულთა სიაში აღნიშნული არ არის. „როგორ, გუშინ თვით დამირეკა!“ დაიწყო ყვირილი გამწარებულმა კინგმა, როცა ტაისონს მისი სიტყვები გადასცეს, მან თქვა, რომ კინგი ეზიზღება და მასთან არავითარი საქმე არ სურს ჰქონდეს.

## გონსალესი – ცზიუ – 15 მაისს

15 მაისს WBC-ს ვერსიით მსოფლიო პირველობაზე პირველ ქვესაშუალო წონაში ერთმანეთს ხვდებიან მიგელ ანხელ გონსალესი და რუსი კონსტანტინ ცზიუ, რომელიც ახლა ავსტრალიის სახელით გამოდის.

შეხვედრის ადგილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მეტოქეები ერთმანეთს 28 ნოემბერს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ჯერ მექსიკელის ტრავმის გამო ბრძოლა გადაიდო, შემდეგ კი სასამართლო სარჩელის გამო, რომელიც მან პრომოუტერ დონ კინგის წინააღმდეგ შეიტანა.

გამარჯვებული ხულიო სესარ ჩავესს შეხვდება.

გონსალესს აქტივში აქვს 42 მოგება, 1 ფრე ჩავესთან და 1 წაგება ოსკარ დე ლა ჰოლასთან ცზიუმ მოიგო 21 ბრძოლა, 1 ფრედ დაასრულა და 1 წააგო.

# კრიმინალური ქრონიკა

## აშკარად შეკვეთილი თავდასხმა

როგორც მოსკოვის პრესა იუწყება, რკინის კეტებით შეიარაღებული ორი უცნობი სახლთან დაუდარაჯდა რუსეთის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ სერგეი ჩერნოვს და მას მძიმე ფიზიკური ტრავმა მიაყენა. დაზარალებული მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. როგორც სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები ფიქრობენ, ეს 100-პროცენტიანი დაგეგმილი აქცია, აშკარად შეკვეთილი თავდასხმა იყო. შეიარაღებულ პირებს ჩერნოვის არცერთი ნივთი არ წაუღიათ, თვით დაზარალებულს კი ჯერჯერობით მილიციისათვის არ მიუმართავს.



# ანა კურნიკოვა: „მხოლოდ ჩოგბურთზე ვფიქრობ“

***როგორც ვიუწყებოდით, ჰილტონ-ჰეცში (აშშ) დამთავრებულ ჩოგბურთელ ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირში შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა რუსეთელი ანა კურნიკოვა (6:4, 6:3) და წარმატებასთან ერთად 150 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა. კურნიკოვა, მართალია დამარცხდა და სულ 70 ათასი დოლარი ხვდა, მაგრამ ჩოგბურთზე უზომოდ ტრფიალმა, პატარა ინტერვიუ მაინც მისცა კორესპონდენტს:***




● *თქვენ მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელობისაკენ მიისწრაფით თუ, უბრალოდ, ბევრი ფულის მიღება გსურთ? ჰკითხა კორესპონდენტმა ცნობილ რუს ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას.*

– 5 წლისა რომ ვიყავი და ჩოგბურთის თამაშს ვიწყებდი, ფულზე საერთოდ არ ვფიქრობდი. ახლაც ასე ვიქცევი, მხოლოდ ჩოგბურთზე ვფიქრობ და სხვა არაფერზე.

● *რაღა დარჩა იმ ადრინდელი რუსი გოგონასაგან? თქვენ მაიამი-ბიჩის ახლოს ცხოვრობთ.*

– მე ფლორიდაში 8 წლიდან ვცხოვრობ, ეს ჩემი მეორე სახლია სანახევროდ, ისე კი, ძველი, რუსი ქალი ვარ. რუსულად მშობლებს ველაპარკები და იმ ჩოგბურთელებსაც, რომლებმაც ეს ენა იციან, მიყვარს რუსული კერძები, ჩამოვდივარ რუსეთში სათამაშოდ. მაგრამ ამასთან ერთად მუდმივად ვმოგზაურობ – წელიწადში 20 ტურნირში ვთამაშობ, ბევრ ქვეყანაში ჩავდივარ.

● ***წლეულს რა მიზნები გაქვთ?***

– იგივე, რაც შარშან. მინდა სრულყოფა და რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგება.

# რა ხდება ქვეყანაზე

## რა „ინახება“ 8 ათას მეტრზე

მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალმა, ევერესტმა (8848 მ) ახალზელანდიელი მეფუტკრის ედმუნდ ჰილარისა და ნეპალელი შერპის ნორგეი თენსინგის ასვლამდე არაერთი ექსპედიცია იმსხვერპლა. მათ შორის ყველაზე დრამატულია 1924 წლის ტრაგედია, რომელიც ინგლისელმა მთამსვლელებმა ჯორჯ მელორმა და ირვინ ირვინგმა განიცადეს. საქმე ისაა, რომ ისინი, მანამდე, როგორც არავინ, ძალზე ახლოს იყვნენ მიზანთან.

ინგლისელები მწვერვალის დალაშქვრას ჩრდილოეთი, ტიბეტის მხრიდან ცდილობდნენ და უკანასკნელად მწვერვალისაგან 300 მეტრით დაცილებულთათვის მოუკრავთ თვალი მათთვის. ექსპედიციის მესამე წევრმა ნოელ ოდელმა, იგი 7900 მეტრზე იყო საიერიშო ბანაკში, თქვა „წამიერად ღრუბელი გაიფანტა, მერე კვლავ მოიქუფრა ცა, და ვერ გავარჩიე, ისინი ადიოდნენ თუ ეშვებოდნენ“.

ალპინიზმის ბევრ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ინგლისელები მაშინ მაინც ავიდნენ მწვერვალზე, მაგრამ კონკრეტული ფაქტების უქონლობის გამო ეს მოვლენა თეორიულ ვარაუდად რჩება.

მისი ამოხსნის იმედი პირველად 1979 წელს გაჩნდა, როცა ჩინელმა ვანგ ჩანგბაომ დაიპყრო ევერესტი. იგი უყვებოდა, რომ ჯერ კიდევ 1975 წელს 8100 მეტრის სიმაღლეზე დაინახა უცნობი ალპინისტის ცხედარი, აღწერილობის მიხედვით, ირვინგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ დაწვრილებით ვერ გამოიკვლიეს, რადგან მეორე დღეს ჩინელი ზვავში მოჰყვა და დაიღუპა.

ახლა შექმნილია ალპინისტური ექსპედიცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ამოიცნოს „მელორ-ირვინგის“ საიდუმლო. იგი ევერესტის ჩრდილოეთ ფერდობზე შეუდგება გამოძიებას. მთავარი ამოცანა მარტო დაღუპულთა სხეულის აღმოჩენა კი არა, ირვინგის ფოტოკამერა „კოდაკის“ აღმოჩენაცაა. სპეციალისტების მტკიცებით, ფოტოფირი, რომელიც მწვერვალზე იქნებოდა გადაღებული, უხინჯოდ გადარჩებოდა 8000 მეტრზე ზევით მუდმივ ყინვაში.

## არც ევერესტს ინდობენ

ავსტრალიელმა გარემოს დამცველებმა „სამყაროს ბანის“ (ევერესტი). მისადგომებთან 56 ათასი ცარიელი ლუდის ბოთლი შეაგროვეს! ეს ცნობა გაავრცელა ფრანს პრესმა.

მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა ეს აქცია განახორციელეს გამოცხადებულად ევერესტისა და მისი შემოგარენის გაწმენდის მსოფლიო კამპანიის ფარგლებში. ამას წინათ, ნეპალის მთავრობამ სპეციალური განკარგულებით აკრძალა ევერესტის რაიონში შუშის ბოთლებში ყოველგვარი სასმელის გამოყენება, ამასთან, მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობისაგან მიიღებენ ტარას.

სხვა პირებისაგან მიღებული ტარის დანაზოგი ევერესტის შემოგარენის შემდგომ დასუფთავებას მოხმარდება. ადგილობრივი ტურიზმის სამინისტროს ცნობით, წინა წლებში ჩატარებული მსგავსი აქციების მიუხედავად, დაახლოებით 50 ტონა სხვადასხვა ნარჩენითაა დანაგვიანებული ჰიმალაის მასივი.

## ჰოკეისტებივით დასჯა

საკმაოდ უნიკალური მოვლენის მოწმენი გახდნენ მოსკოველი ფეხბურთის ფანატები, რომლებიც სოკოლნიკების მანეჟში დაესწრნენ ადგილობრივი გუნდების „სპარტაკისა“ და „სპარტაკ-ჩუკოტკის“ ამხანაგურ მატჩს. მას ფიფას ცნობილი არბიტრი სერგეი ჰუსაინოვი სჯიდა.

თამაშში, ჩვეულებრივი შეხლა-შემოხლის შედეგად სპარტაკელ სერგეი იურანსა და „ჩუქჩელ“ ალექსანდრ კატასონოვს შორის ურთიერთობის გარკვევა მუშტი-კრივამდე მივიდოდა არბიტრს „გონივრული“ გადაწყვეტილება რომ არ მიეღო, – ჰოკეის წესით ორივე სკანდალისტს ორი წუთით დაატოვებინა სარბიელი, თან მიაყოლა: „მიბრძანდით და უყურეთ, როგორ თამაშობენ სხვები“.

ორი წუთის შემდეგ ფეხბურთელები დაუბრუნდნენ თამაშს. მეტოქეები შემდეგ ხუმრობდნენ: დასანანია, რომ „სპარტაკის“ მანეჟში საჯარიმო მერხი გათვალისწინებული არ არის...



10



11

## კროსვორდი – კრივი

1. ირიბი დარტყმა მოღუნული ხელით, 2. პროფესიონალი ქართველი მოკრივე, 3. ფუნქციონერი პროფესიულ კრივში, 4. კლეის შეცვლილი გვარი, 5. ლეგენდარული პროფესიული მოკრივე, 6. მდგომარეობა, როცა მოკრივე ძირსაა დავარდნილი, მაგრამ 10 წამში შეუძლია ადგეს, 7. არენა, 8. მოკრივის „იარაღი“, 9. ხმის გამომცემი ხელსაწყო, 10. დაღუპული ფოთელი მოკრივე *(ფოტო)*, 11. ცნობილი პრომოუტერი *(ფოტო)*, 12. თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა, 13. წმინდა მოგება, 14. წარსულში სახელგანთქმული მოკრივე, 15. ქართველი მოკრივე – ოლიმპიური პრიზიორი, 16. ბრძოლის დრო, 17. (თარაზულად): ცნობილი ქართველი მოკრივე, 17 (შვეულად). ცემა, მიბეგვა... 18. მოკრივე, რომელმაც ძალიან დიდხანს დაჰყო რინგზე და შემდეგ კინომსახიობი გახდა, 19. დარტყმა ქვემოდან, 20. „შუგარ“ ლეონარდის სახელი *(ფოტო)*.



20

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ესპოზიტო, 4. სალარაძე, 6. ამარილდო, 8. ორტეგა, 10. ბრონშტეინი, 12. ტოსტაო, 15. ანჩელოტი, 17. ატალანტა, 22. ალტობელი, 23. სმისლოვი, 26. ინსი, 29. ეტლი, 30-31. დირსეუ, 32. იურანი, 33. რაში, 34. კელი, 35-36. ზამორა, 37. ორტერი, 38. ილიე, 40. ორსი 43. ემერსონი, 44. ტორიჩელი, 45. პლანიჩკა, 47. ანკეტილი, 49. მაკაბი, 53. თედიაშვილი, 57. ნასირი, 58. არდილესი, 60. იაკუშინი. 61. ჟორდანია. **შვეულად:** 2. საპორო, 3. ტიმანი, 4. სალდანია, 5. ესკობარი, 6. ასპრილია, 7. ოლივეირა, 16. ლობანოვსკი, 18. ლოსაბერიძე, 20-31. კანუ, 21-32. როსი, 22. არტიმე; 24. იაშინი. 26. იერო, 27. იური, 36. არაუ, 37. ოსლო, 45. პოლივოდა, 46. ასათიანი, 47. აფციაური, 48. ივანჩუკი, 54. დინამო, 55. ილიადი; **დიაგონალურად:** 15-5. არველაძე, 6-19. არახამია, 9-26. დიბიასი, 27-11. ირიარტე, 25-13. ლიატო, 14-28. არისი, 39-50. შირეა, 51-42. ბესტი, 52-40. რომარიო, 41-56. ისალდე, 45-59. პოლსტერი, 60-48 ივანიცკი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

ა) დიაგრამა შამათი 3 სვლაში
ბ) a5-ე კუს გარეშე შამათი 5 სვლაში (ავიღოთ a5 კუ).

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეf4! მუქარა 2. ლc4X.
1. ...ეc5 2. ლg2X.
1. ...ეd4 2. ეf5X.
1. ...ეc3 2. ლf5X.

**„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 16 აპრილს.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე